

ბურჯია, რომელზედაც ყოველი ერთ თავისი ბედნიერების და მერმისის ცხებ-სიმარგის აშენებს ხოლო. ვა- მოაკლეთ ეს ბურჯი და შენობას დარღვევისაგან არა დაიხსნის-რა.

მართალია, ერის არსებობისათვის დიდი რამ არის ნივთიერი ქონება. მაგრამ არის ერთნაირი სხვა ქონება- ცა, ურომლისოდაც ერთი თავს ვერ დაიჭერს ამ წუთის-სოფლის გზაზე. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი, რომ ადამიანი არა მარტო პურიც ცოცხალ არს; სხვაც რამ არის საჭირო და ის სხვა ზნეობა და ზნეობური ქონებაც ისეთი აუცილებლობაა ერის მკვიდრად ფეხზე დგომისათვის და ხანგრძლივად ადამიანურ ცხოვრებისათვის, როგორც არსებითი პური. გული ამომ- შრალი, უმადლო, უკეთილო ერს ერად ვერ აბოგინებს. და ნუ თუ დღეს გული ამოგვიშრა ჩვენ იმოდენ- ნად, რომ ჩვენთა სისხლ-ხორცთა, ჩვენთა ძმათა და მახლობელთა საშ- ველად სხვა უნდა გვაჩვენებდეს მაგა- ლითს.

არა გვგონია, ასე წაგწყმდილო- ვიყოთ, ასე წამხდარვიყოთ და ამი- ტომ იმედი გვაქვს ჩვენი საზოგადო- ება, ჩვენი დიდ-პატარაობა გააღვი- ძებს თვის გულში მადლის ქმნის წყურვილსა, ასე თუ ისე შეუდგება დაღუპულ და იმედ-გადაწყვეტილ მოძმეთათვის საშველ საქმესა და არ დაჰზოგავს თავის წვლილსა, ვინც რის შემძლებელია. აქ ყოველი გრო- შიც თავის სამადლო გზას იზოვის და მრავალთაგან თვითო წვლილი არა ერთსა და ორს კაცს სასო-წარ- კვეთილს გულს გამოუკეთებს და აღრე და მალე წახდენისაგან დაიხ- სნის ცოლითა და შვილითა.

საჭიროა, ითავოს ვინმემ აქაც ჩვენში, ამერ-იმერთა შორის კამიტე- ტი შეადგინოს და მოიწვიოს ჩვენი ერთი ამ დიდ საქმეზე სამადლო საქ- მისათვის. ხვეწნა და მუდარება აქ მეტია: თვითონ საქმე ჰდალადებს თა- ვისა თვისისათვის, ოღონდ ვინმე მხნე კაცი დამწყებად გამოჩნდეს. ჩვენი მარშლები არა ცოტა შემწე-ობას გაუწევენ ამ საქმეს, თუ მოი- წადინებენ საქმით გულმოდგინებით

ხობელი მოვლინებებისას, და ისიც თუ სადმე გაუბედავთ, მოკრთალებით გაძრულა ამაზე კრინტი, ჰნახავთ, თუ პირ-იქით ესენი არ იყვნენ ჩვენგან შეჩვენებულნი და გამოიბლინი...

ბრძანებთ, რომ ბალი შებედავ-კი თითქმის მთელი ცის ქვეშეთი ამოჰქა- რდეს, როგორც თავისი საძეფო. განა ჩვენში კი ცოტანი არიან, რომელნიც მთელს ჰაისტანს საქართველოს ეძა- ხიან. ამა წიკითხეთ ზოგიერთა წე- რილები ჩვენის მწერლებისა, თუ ჰა- ისტანს სადმე-და იზოვეთ.

ეს ხომ ბაშეური გართობა და თა- ვის თავის მოტყუებაა. ნუ თუ ეს ვისთვისმე საწყენი და გულის დასა- კლდი უნდა იყოს? ეს არის ის სენი, რომელსაც ეძახიან სიმძლით ოცნე- ბის გაცოფებას. როდესაც კაცი ძა- ლიან დამშეულია, მაშინ იმას წარ- მოდგენილი აქვს, რომ რაც ქვეყანა- ზე საქმელია, სულ შესქამს ერთი ყბის მოქნევით და შორილად უაღერებს სხვის მომზადებულს საუბარს. აქაც ეგვიანა. ყოვლის დამკარგავს, მოშლილი ოცნება ყველაფერს თავისათ უჩვე- ნებს. და ნუ თუ გგონიათ, რომ ავ- გარს სწეულს ოცნებას აქვს რამე ძალა, რამე მნიშვნელობა ან ჩვენ- თვის ან სხვებისთვის, და მეტადრე

შედგომასა. არც ჩვენი სამღვდლო- ება უნდა ჩამორჩეს სხვას და თვისი სამწყსო უნდა მოიწვიოს მოყვასთა საშველად და იმედია არც მა- თი ხმა დარჩება ხმად მლაღადებე- ლად უდაბნოში. ინტელიგენციაც, რა თქმა უნდა, არ მოიყრუებს ყურს და იგიც მოაშველებს ამ საქმეს თა- ვის ძალ-ღონეს, თავის წვლილს, ოღონდ ითავოს ვინმემ მხნე და გამბრჯელმა და დიდი და პატარა, თავა- დი და გლეხი შესძრას ამ სამადლო საქმისათვის და იმედია, ბევრი თუ არა, იმოდენა მაინც მოგროვდეს— თუ ყველას არა—ზოგიერთს გაუბე- დურებულს მაინც ნუგეში რამ მიე- ცეს, წამალი რამ დაედოს.

ახალი ამბავი

* * როგორც ვაზ. „ნოვ. ობ.“-ის ატყობინებენ მოსკოვიდან, იქ გრა- ფინა უვაროვის თავმჯდომარეობით ტფილისისა და ქუთაისის გუბერნი- აში წყალ-დილობისაგან დაზარალე- ბულთა სასარგებლოდ კომიტეტი შე- მდგარა შემოაწირულებათ შესაკრე- ბად.

კარგი იქნება, ჩვენშიაც დროზე შესდგეს კომიტეტი ამ საგნისათვის, რომ უფრო მეტის ერთგულობით წარუძღვეთ საქმეს.

* * 2 დეკემბერს მომხდარ ბორ- ჩალოს მახრის თავდა-აზნაურთა კრე- ბაზე მახრის თავდა-აზნაურთა წინამ- ძლოლად ამორჩეულ იქნა თავადი გ. დ. აფხაზი, ხოლო მის კანდიდა- ტად ბორჩალოს თავდა-აზნაურთა წი- ნამძლოლად ნამყოფის ძმა ბ-ნი ელი- გაროვი.

* * ტფილისის სამოსწავლო ოლ- ქის სამღვდლოების 2 დეკემბრის სხდომაზე, რომელსაც ჰთავმჯდომარეობდა მღ. ნ. მიქარაშვილი, წა- კითხულ იქნა სინოდის გარდაწყვე- ტილება, რომლითაც მან უარი გა- ნაცხადა მისცეს ეპარქიის სამღვდ- ლოებს 4,624 მან. ტფილისის სა-

გონიერი ადამიანისა და ხალხებისათ- ვის?

სწუხართ, რომ შემოხიზნულთ გარდასწყვიტეს ქართული აღარ ვი- ლაპარაკოთო.

გაწყუხებთ ეს ძალიანა? რითი გვეჯობიან ეს შემოხიზნულ- ნი? გვეჯობიან ცხოვრებისთვის ბრძო- ლაში, უფრო აღებ-მიმცემლობით და ვაჭრობით.

როგორა გგონიათ, ამ მხრით რომ საქმეს შეხვდეთ, ზარალია ეს ჩვენ- თვისა? დივიწყეს ქართული. მერე რაღა ენით უნდა ვაპაროთ ქართ- ველს ხალხთან ვაჭრობა? მონაფეხს ხომ არ დაიჭერენ და არც შეიძლე- ბა მოწვევებით რიგინი ვაჭრობა. მა- შინ შესრულდა ჩვენი სიერთა სურ- ვილი: მოცილე ვაჭრობაში ამისთანა ძლიერი, როგორც ეს შემოხიზნული ხალხია, აღარ გვეყოლება და დაგე- რჩა ჩვენ ბურთი და მოედანი, თუ- კი ან აქ მოვიხმართ კეუასა. ამათი უმთავრესი ძალა საეპარქო საქმეში არის ისა, რომ სადაც მივლენ, ყველა ხალხის ენას სწავლობენ, სწავლობენ მათს წიგნსა. ამითი იჭერენ ვაჭრობას ხელში. დივიწყებენ ამ ენებს, დაჰ- კარგავენ თავისი ვაჭრობის ძალასაც. განა ეს თქვენთვის ზარალია და მათ-

სულიერო სასწავლებელს წლიურად ეხარჯება 13,338 მან. კრებამ შე- საძლოდ სენო მხოლოდ 670 მან. შეამციროს ხარჯი და გარდასწყვიტა დანარჩენი ფული სამოსწავლო ოლ- ქის სამღვდლო სამღვდლოებსა შეა- წეროს. კრებამვე გარდასწყვიტა, რაც შეიძლება შეამციროს ერის კაცთა შვილების სასწავლებელში მიღება, რომელთა რიცხვიც ამ ეამად ასამ- დეა და სწავლის ფულად 40 მანე- თის მაგიერად 45 მანეთი გადაახდე- ვინოს.

* * დღეს, 5 დეკემბერს, საღამოს 7 1/2 საათზე კავკასიის საიმპერატო- რო სამეურნეო საზოგადოების მო- რიგი სხდომა დაინშნული. სხდომა- ზე განიხილვენ მიმდინარე საქმეებს, ტფილისის საბაღოსნო სკოლის მომა- ვალ 1896 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვასა და მოხსენებას ს. მ. ზაფრევისას „ერევნის გუბერ- ნიისა და ყარსის მხარეში მოუსავლობის მიზენი და სამეურნეო პირობანი“. სხდომაზე გარეშე პირთაც შეუძლი- ანთ დასწრება.

* * „ნოვ. ობ.“-ს სიტყვით, ჩვე- ნში ამ დღეებში უნდა ჩამოვიდეს მოხელე სკოროცოვი, გამოგზავნილი უქმ. სინოდის ობერ-პროკურორის მიერ.

* * ეკატერინოდარის საქალაქო სასწავლებელთან 1 დეკემბრიდან და- უარსებიათ განყოფილება საფოსტო და სატელეგრაფო საქმის შესასწავ- ლად. ამ განყოფილებაში შესვლის მსურველმა უნდა წარადგინოს საქა- ლაქო სასწავლებლის დასრულების მოწმობა.

* * მოგვივიდა ვიქტორ ჰუგოს ლექსთა კრების მე-IX ნაწილი, რუ- სულად ნათარგმნი ბ. თხორევესკის რედაქტორობით.

* * მოგვივიდა ახალი წიგნი ივ- რისტომაშვილის გამოცემა (№ 6) „სოფლის მოღვაწენი“, მოთხრობა იოსებ ჩიტაძისა. ფასი 15 კაპ. გავ- ზავნიან.

ამ წიგნით დასრულდა ამ წლისა- თვის დაპირებული გამოცემათა სე- რია, რომელიც შესდგება ექვსი წიგ-

თვის მოგება, რომ აგრე გწყენიათ? განა, პირიქით ხელიც არ უნდა მო- გემართნათ ამაში, თუ თქვენი ხალხის- თვის კეთილი გინდობათ? თქვენ-კი ყველაზედ უფრო ესა გწყენიათ და გაიძახით: საწყაო აღივსოა!!.

კარგი! აღივსო და გადმოვიდა საწყაო, დავიფურთხეთ მუშტზე და სულ ზეთუნამდის ვარბევინეთ. მემ- რე? ჩავაფიქრდეთ, რა მოსდევს ამას? გახსოვთ ისტორიული მოძღე- ვრებანი? გახსოვთ დიდებული ბოკლოს საუტხოვო მაგალითი მაგრებსა და ისპანელებზე? რა მოუვიდა ისპა- ნიას, როდესაც განდევნეს ინდუს- ტრიულინი მავრნი?.. რომ მუშტითა და მახელით არ ვიყვნეთ ვატაცე ბულნი, ბევრს რასმე საგულისხმიერ- როს გვაფიქრებინებდა ამგვარი არა- კაცური განზრახვა.

აიღეთ რომელიც გინდათ პოლი- ტიკო-ეკონომიური თხზულება, რა- საკვირველია, სინიდიური აწონვი- ლი გონის შედგენილი, და წაიკით- ხეთ, რა მდგომარეობაშია ის ქვეყა- ნა, სადაც ხალხი ცოტაა და თხლად არის დასახლებული. თითქმის ყველ- გან ერთსა და იმასვე ამოიკითხავთ, რომ აქ პროგრესი შეუძლებელია. სადაც ხალხი ცოტაა, იქ ხალხი ვერ

ნისაგან, ღირებული 1 მანეთად. მო- მაგალ წლისათვის, როგორც სჩანს ყდაზე დასტამბულ განცხადებებში, მიიღება ხელის-მოწერა 18 ახალ წიგნზე და ერთს ალბომზე სახელ- წოდებით „ქართველთა ნათესავნი, ანუ ტომნი“, რომელშიაც ასე მე- ტი სურათი იქნება. მომავალ წლის სერია ელირება 4 მანეთად.

* * სოფ. ბანძა (სენაკის მაზრა): სოფ. ბანძის საზოგადოებაში ყვავი- ლია გავრცელებული. თუმცა-ლა საგ- რძნობს ზარალს არ იძლევა, მაგრამ ხომ მოგესხენებთ, მდაბიო ხალხს დიდად ეშინიან „ბატონებისა“. ჯერ- გერობით არავითარი ღონეა ამ სე- ნის საწინააღმდეგოდ მიღებული. ყო- ველს შემთხვევაში საჭიროა ყურად- ლემა მიექცეს.

დიდს წვიმებს არც ჩვენი საზო- გადოება გადურჩა დაუზიანებელი. მდინარე აბაშამ და ტეხურმა მრავა- ლი წისქვილები დაიტაცა. სხვა ზა- რალიც ბევრია.

* * ნუხა: 25 ნოემბერს ვილაქ ალექსი სუფოროვი ნაჯახით მძიმედ დასჭრა აქ დასახლებული მწვანე- ლი ლეონტი გრებენიჩენკა; დაჭრი- ლი 30 ნოემბერს გარდაიცვალა.

კო მ რ ს კ მ ნ ე მ ც ი ა.

ბარ-საჯამახო (იმერეთი). საში- ნელისა და გულის აღმაშფოთებელის დღეებით დაბოლოვდა ოქტომბერი.

ამის მზგავსი, როგორც ამბობენ მო- ხუცნი, არაფერი უნახავთ მათ თავის დღეში. საში დღე თითქმის განუწყვეტ- ლივ სწვიმდა, რის გამოც საოცარი წყალ-დილობა იყო; რიონი გადმო- ვიდა ნაპირებიდან და ზღვას დაემე- გავსა, დიდ-ძალი სიმდიდრე და თვით ადამიანები იმსხვერპლა ამ საშინელმა ბუნების მოვლენამ. თუმცა სხვა ად- გილებიდანაც მოგვდის ცუდი ამბე- ბი, მაგრამ ჩვენ ჩვენს გაჭირვე- ბაზე მოგახსენებთ: რიონი ისე დიდი იყო, რომ ერთი ნაპირიდან მეორე აღარ სჩანდა, საჯავახოს რკი- ნის გზის სადგურთან თავისუფლად დადიოდნენ, წყალმა სამტრედიადის

ებრძვის ვერც ბუნებას, ვერც ცუდს გარემოებას, ვერც შემოსეულ მტერს; ვერა ჰმართავს გზებს, სასწავლებ- ლებს; არა აქვს მოთხოვნილება და გასავალი მათს ნაშრომს, ვერ დაუხ- წევია თავი სიღარიბისა, უშვერებისა და ცრუ-მორწმუნოებისათვის. გადა- დით ისტორიაზე და აქაც მასვე ჰნა- ხავთ, რასაც გასწავლით რიგინი პოლიტიკა და ნაციონალი ეკონო- მიური სწავლანი...

გავიდა ქვეყნიდან ნახევარზე მეტი ქალაქებსა და ბაზარ ადგილებს მცხო- ვრები ხალხი. სად არის მაშინ მუშ- ტარი, მომხმარებელი თქვენი ნამუ- შავარისა? რაღა ფასი აქვს თქვენს შრომას, თქვენის შრომისა და მამუ- ლების ნაყოფს? რაკი ეკარგება ფასი თქვენს ნაღვალს, არ გაძლევეთ მუ- შაობა ხელს,—რა ხდება თქვენს თავს? რა ხდება თქვენი შრომის ნა- ყოფიერებაზე?.. არა აქვს გასავალი თქვენს მოსავალს, თქვენს ნაშრომს, აღარცა გაქვთ სახსარი შეიძინოთ სხვა ცხოვრების საჭირო მასალა; არა გაქვთ საღსარი შეიძინოთ სამუ- შაო იარაღი, მოჭფინოთ ქვეყანას სწავლა-განათლება, დამართოთ გზები, სასწავლებლები, შეინახოთ მოხელე- ნი და სხვა ათასი ამგვარები. გაქ-

მიადწია, რკინის გზა დიდად დააზა- რალა; ღამის პირველი ნახევარი ჩვენ- ბოდა 29 ოქტომბერს, როდესაც პირველი ტალღა მოვარდა. სწორედ საშინელი იყო ეს წამი: ადამიანების ყვირილი, ბაშეების ტირილი, პირუტ- ყვის ბლავილი და წყლის შხუილი ერთმანეთში ირეოდა. ბევრმა უშვე- ლა თავს და სახლიდან გამოასწრო, ბევრი სახლშივე გამაგრდა და ქერზე გადაიჩინა თავი, მაგრამ პირუტყვი- კი სრულიად მოიხსო. მრავალი მო- სახლე დარჩა სრულიად მშრალზე, როგორც მსხვილ, ისე წვირილ-ფეხ საქონლისაგან; წაიღო აგრეთვე დიდ- ძალი სიმინდის კოლოები, დაანგრია ბევრი კონტად მოწყობილი სახლე- ბი, სასიმინდე და სხ. ადამიანებიც ბევრი იმსხვერპლა ამ უწყალო სტი- ქიონის ძალამ. სხვათა შორის, მდი- ნარე ხევის წყალში დაიჩხო სოფ. საჯავახოს სკოლის მასწავლებელი ი. დუღუჩავა, ოც-და-ორის წლის ყმაწ- ვილი კაცი; 30 ოქტომბერს დაუბე- რებია საწყალს ცხენით წყალში გას- ვლა, რადგანაც სკოლაში უნდა მი- სულიყო. თუმცა წყალი ძალიან მო- დიდებული ყოფილა, მაგრამ მაინც გაუბედნია შიგ ჩასვლა; ჩასვლისათანა- ვე ცხენს დასჯახებია ქვა და იქვე წაქ- ცეულა; ცხენი გამოვიდა, მაგრამ სა- ცოდავი მასწავლებელი წყლის ტალ- ლებმა გაიტაცეს. იქვე მეწის- ქვილებს თვალი შეესწროთ იმ სა- ცოდავისათვის და მისი უსუსლო გვა- მი ნაპირს გამოუტანიათ.

მთა ადგილებში, თუმცა თვალ- საჩინო ზარალი არ მოუტანია ამ წვიმებს, მაგრამ ზოგან წყლით გაქვითილი მიწები დაზავდა. ამა- ვე სოფელ საჯავახოში მომსკლარა პატარა გორა; ამ დროს იქვე სამი გლეხი მინავლა გვარად კ—ბი; საწყ- ლები ორი იმათგანი ქვეშ მოჰყო- ლიან ზვავს და იქვე გაუთხრით საფ- ლავი, მესამე-კი შემთხვევით გადარ- ჩენილა.

ამასთან ერთად ერთ სხვა ამ- ბავსაც მოგახსენებთ. სოფელ ნი- გორზღვაში, რომელიც ერთ ვერ- სზე მდებარეობს საჯავახოს რკ. გზის სადგურიდან, ნიაღვარს ერთ ფერდობ-

ლიათ ესენი და აკლდება თან-და- თან თქვენს მოწოდმართობასაც, თქვე- ნი შრომის ნაყოფიერებასაც...

გადაავლეთ თვალი, რაზე არის დამ- ყარებული ჰარისის დიდება, საფრანგე- თის კეთილდღეობა, შვეიცარიისა და სხვა ამგვართა ქვეყანათა. ჰნახავთ, რომ ბევრში ამგვარს მოსულს და სტუ- მარს ხალხზე, რომელნიც თავისი აქ ყოფნით ამრავლებენ მომხმარე- ბელთა კონტიგენტს და ამითი უმა- ტებენ ფასს აქაური შრომის ნაყოფ- სა. წაიკითხეთ კორტის ჩინებული წიგნი „ახალი ვენა“ და ჰნახავთ, რომ ბევრში მაინც-და-მაინც ვენის სიმდიდრე და წარმატება არის დამ- ყარებული მოსულს სტუმარს ხალ- ხზე, რომელიც მილიონობითა ჰხარ- ჯავს თვის ფულს აქაურს ნაშრომ- ზედ. ამას ჰხედამენ კარგად ეგრო- პილნი და არდგენენ ათასთა საშე- დავათო კანონთა მოსულთათვის, რომ ამითი მისცენ თავის ქვეყანას შეძლება შეიმართონ ის, რასაც მო- სულნი დაჰხარჯავენ უცხო ქვეყა- ნაში და ახლა დაჰხარჯვენ აქა. დავანებოთ ახალს სწავლას, ახალს შეხედულობას თავი და გადავუ- ლოთ თვალი ძველებს. გიყი იყო დავით აღმაშენებელი,



ზე დიდი თხროლი გაეკეთებინა; აქ შემთხვევით გადავიხედე გზიდან ამომშროლო წყლის ნავალსა და დავინახე ჭური, რომელსაც თავზე სარკველი ეხურა პატარა ქუჩუტანათი. ჭური აღმინანის ძვლებით იყო სავსე, შიგვე იდგა პატარა დიდ-ტუჩიანი დოქი. საზოგადოდ იმ არე-მარეში, საცა ეს ჭური ვიპოვე, მრავალი ცხელების ნანგრევია და კედლები, ერთ ალაგას გვირავი ადრის. ამას წინა დროს ფლელგებს ძველი ფულები ეპოვნათ აქ. როგორც სჩანს, აქ ეგვიპტელებს უცხოვრებიათ, ხალხიც ამას მოწმობს. კარგი იქნება, რომ ვინმე არხელოვთაგანი გულ-მოდგინედ დაათვალიერებდეს ამ არე-მარეს. მარტო გასივრებით არაფერი იქნება, საჭიროა მიწის გადათხრაც. ვინ იცის, იქნება ძვირფასი რაიმე არხელოვანთაგანის გამომჩნდეს, იქნება ჩვენის ისტორიისათვის სასარგებლოც აღმოჩნდეს-რამ.

რედაქციის კანცელარია.
1895 წ. 28 ნოემბერს.

შურნალ-გაზეთობიდან

ამოკრებილი ამბები.

— პეტროვსკის ნოტარიუსი ბ-ნი ტერ-აკოფოვი სასისხლო სამართალში იყო მიცემული. ბაქოს ოლქის სასამართლოს დამანაშავედ არ უცნია და გაუმართლბია. ტფილისის სასამართლოს პალატას დამანაშავედ უცნია და ციხიდან გასაგზავნად დაუნიშნავს, რასაკვირველია, ამას უნდა ჩამოართმევოდა ყოველივე ღირსება და უპირატესობა. სენატს, რომელსაც გაუხიზავს ეს საქმე, უთქვამს არამც თუ დამანაშავე რა-შიმე, არამედ თვითონ დამანაშაველობაც არსად არის, იმისთანა არაფერია, რომ კაცს დამანაშაველობად ჩათვალოს.

ყველა-ყველა, ამბობს „ბირჟა. ველ.“-ი, საიდანაც ეს ამბავი ამოვყურებთ; ამდენი ტანჯვა და ვი-გვაგაზი, ამდენი სირცხვილი და სულიერი წვალება და წამება ვინ უნდა უზღოს უბრალოდ სისხლის სამართალში მიცემულსა, უბრალოდ შიშ ქვეშ ჩავარდნილსა და საციმბიროდ დანიშნულ სირცხვილეულს აღმინანაო.

ნუ თუ ამისთანა ამბებმა პასუხის უგებლად უნდა ჩაუაროს მსაჯულებსა და ნუ თუ დრო არ არის ამისთანა ამბებისათვის პასუხისგება რაიმე დაწესდესო?

— რად არის ეს, რომ კბილი და თმა

როდესაც ათას კომლოდით მოჰყავდა და ასახლებდა თავის ქვეყანაში ვაჭართ და ისე ხალხსა უცხო ქვეყნებშიდამ?

გიჟი იყო მეფე ირაკლი, როდესაც იმან გაავსო ტფილისი, საბარათიანო, სამელიქო, ბერდუჯისა და მაშავერის ხეობანი გარედამ მოყვანილი ხალხით?

განა შეეძლო საქართველოს თავი შეენახა დღევანდლადის, რომ მტრისაგან გაოხრებული ადგილები, გავრანებული ქვეყნები არ დაესახლებინათ ჩვენს შეფეებს მოყვანილი ხალხითა?

გიჟი იყო შაჰ-აბაზი, როდესაც ასახლებდა სომხებს სპარსთა დედა-ქალაქში, ასწავლონ ჩემს ხალხს ვაჭრობაო?

გიჟები იყვნენ ის ძლიერნი ხელმწიფენი, რომელნიც ჰყრიდნენ უცხო ქვეყნებშიდამ უცხო ტომის ხალხთა და ასახლებდნენ თავისი საზღვრების ცარიელსა და დაუსახლებელს ადგილებში?

თუ ყველა ძლიერი, გონიერი, მეცნიერი ჰხედავს სახელმწიფოს სიკეთეს ხალხთა სიმრავლეში, — მაშ რომელმან მაცდურმან დაგვაცენა ჩვენ იმ აზრზედ, რომ ჩვენი ცხოვრება

არ უფარვად ბევრსაო? ეს საგანი გამოუძიებია ორს ინგლისელ მკურნალსა და აი რა პასუხს იძლევიან: კბილი იმითომ უფუძლებათ ეხლანდელსა, რომ ბევრს თვრის და გამტკიცებს პურსა სკამენო, რომელთაც ქატო არა აქვთო. ქატოს თურმე იმისთანა თვისება აქვს, რომ კბილს ძალიანა ჰყველის და ინახავსო. აქედამ ის გამოდის, რომ ვისაც კარგი კბილი ჰსურს რომ ჰქონდეს, შავი ჭური სალდათისა უნდა მიირთოს.

თმები არ უფარვად ეხლანდელს აღმინანს, იმითომ — რომ უფრო ხორცეულსა სკამსო; ხორცი-კი ცოტა გოგირდი და კვითაო. გოგირდი და კვითა ბალნის გაძლიერებისათვის მეტად საჭიროაო. ამის დასამტკიცებლად ხსენებულნი მკურნალნი იმას გვანიშნებენ, რომ ბაშუს თმის ზრდა ძალიან სუსტი აქვსო, რადგანაც მარტო რძით იკვებება და რძე ხომ ცხოველისაგან არისო. ამიტომაც, ამბობენ იგინი: ვისაც ჰსურს თმა კარგი ჰქონდეს, არა სცივდეს და ღონიერად ეზრდებოდეს, ან ახლად ამოუვიდეს, უფრო მხალის საკმელს უნდა მიირთმევდეს და ყველაზე უკეთესი ფშვირის შეკამაღაო. (ს.)

უცხოეთი

საზრანგეთი. აი დაწვრილებით ის ამბავი, რომელიც დეპუტატმა უკვე გვაცნობდა საფრანგეთის პარლამენტში მომხდარ ინციდენტის შესახებ. 24 ნოემბერს, საღამოთი, პარლამენტის სხდომა უკვე თავდებოდა, რომ ამ დროს ორჯელ გაისმა რევოლვერის ხმა. რევოლვერი დასცალა ასე ოცის წლის სუფთათად ჩაცმულმა ახალგაზდა ყმაწვილმა სწორედ სადილობატო ლოქისაკენ, სადაც ორი მანდილოსანი იჯდა. ბოქალნი მაშინვე დამანაშავესაკენ გაეჭანენ; ამ უკანასკნელმა წინააღმდეგობა სრულიად არ გაუწია. მაშინათვე ზარის წყარუნით აცნობეს და ყველა შემოსავალი კარებები დაჰკეტეს. საზოგადოება და ჟურნალისტები ნახევარ საათზე მეტს კიდევ დარჩნენ პარლამენტში. კორიდორებში ხალხი საშინლად მღვლეობდა, დეპუტატი პოლიციის გარს შემოერტყენ და სცდილობდნენ როგორმე დაენახათ ბოროტ მომქმედი.

ბა, ჩვენი ბედნიერება დამყარდება მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა დაცალიერდება, ჩვენი ქალაქები და ბაზრები დაიკლებიან და დავრჩებით ჩვენ მარტონი ჩვენი უგლაგაჯა ურმით, ტლანქი გუთნით, ბლაგვი ცულობით?...

ბევრი რამა ხდება შემოხიზნულთაგან უწყისი, უტაქტობა, იქნება უზრდველობაც...

მაგრამ გვითხავთ, ჩვენ ამაზე ნაკლები უზრდველობა და უთავაზობა მიგვიძღვის ამ ჩვენს მეზობელს ხალხთან? კიდევ უარესი. ზრდილობა იყო, როდესაც ჩვენი მწერლობა სწამებდა დალატს მთელს ნაციას, დალატს იმ მეფისა და ხალხისას, რომელთაც ესენი შეიწყნარეს თავის ქვეყანაში, გადაარჩინეს მოწყვეტას და სარწმუნოების დაკარგავს! უღალატეს ქართველობას, გადავიდნენ ალა-მამადისკენ. მიზეზი? რა უნდა წახედინა მაჰმად-ხანს? — ტფილისი. ვის უფრო მეტი ეკუთვნოდა ტფილისში? — შემოხიზნულთ. მაშ, თუ უღალატეს, ვის უღალატეს? — თავის თავს! ალა-მამად-ხანი თუ წახედნდა ტფილისს, განა აგრეთ უმეტრებიც არიან ეს შემოხიზნულნი? თუ აგრე უგუნური არიან და

მართალია ხმა გავრცელდა, ბოროტ-მოქმედი შეშლილიაო, მაგრამ გასინჯვის დროს იგი სრულიად არ აღმოჩნდა გონება-შერყეული. დამანაშავე თავის ბოროტ-მოქმედებას, როგორც სჩანდა, არაფრად აგდებდა და პოლიციის კომისარს მის კითხვებზე დაკნინით აძლევდა პასუხს. მიზეზი ასეთის მოქმედებისა არ ჰსურდა ეცნობებინა და სთქვა, რომ მას შარლ ნუარს უწოდებენ; მაგრამ მაშინვე დასძინა: „ჩემგან თქვენ ნამდვილს გვარს ვერ შეიტყობთ“. შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ნამდვილი გვარი დამანაშავესა შარლ ლენუარი ყოფილა; იგი თურმე მულენის საპატიმროს უფროსი დარაჯის ლენუარის შვილია. შარლ ლენუარი გონება-შერყეულია. პარლამენტში შესასვლელი ბილეთი დამანაშავეს რადიკალთა დეპუტატის მატრისაგან მიუღია.

აშხარ-შენგალი. მთავრობას უკვე დაუსრულებია ახალი საარჩევანო კანონ-პროექტის შემუშავება. პროექტით განზრახულია დაარსება ახლის მეხუთე საარჩევანო კურსისი. ამ კურსამ არჩევნები უნდა მოახდინოს საყოველთაო არჩევნის წეს-რიგით; იმპერიის ყოველ სამას-ათას მცხოვრებელზე უნდა არჩეულ იქმნას თვითო დეპუტატი.

ოსმალეთი. პროვინციებიდამ ისევ ცუდი ხმები მოდის. არეულობა სუფევს ყოველგან: ზოგან ოსმალნი ავიწროებენ ქრისტიანთ, ზოგან ქრისტიანნი არიან გამარჯვებულნი; ყოველგან შიმშილობაა; ვაჭირებულ ხალხს ამ ეამად სუსხიან-მა ზამთარმაც მოუსწრო. კოსტანტინოპოლში სომეხთა და ოსმალელთა დატუსაღება არ შეწყვეტილა. ამბობენ, დატუსაღებულია ბევრი წარჩინებული ოსმალელი ოფიცერი, რომელთაც ჰბრალდება ახალგაზდა ოსმალთა პარტიაში მონაწილეობის მიღება; ბევრიც კოსტანტინოპოლიდამ გაქცეულია.

იტალია. ამ დღეებში დეპუტატ

არ ესმით თვისი ინტერესი და სხვებს აძლევენ გასაოხრებლათ, — მაშ როგორ-ღა შეიძინეს ამოდენა სარჩო, როგორ-ღა გვეჯობიან ჩვენ ესენი ცხოვრების ბრძოლაში?!

მაგრამ, გვითხავთ: გეურქამ ჩაიდინა საძაგლობა, მარტორუხამ უარესი. აქ მთელი ხალხი, მთელი ნაცია რა შუაშია? განა ის, რაც ზემოთ ჩვენი ქართველების საქმეები მოვთვალე, მთელს ქართველს ნაციას ამცირებს? განა იმითომ, რომ ოტია, გოგია, ივანე, შაქრო, ალმასხან, ჰლუბამენ და არცხენიან ქართველებს, — აქ მთელი ქართველი ერი რამე შუაშია? განა გონიერული და კაცობრივი იქნება, მთელს ქართველს ერს ვადაუდგეთ და ვიძახოთ: დანა მაგას! აწამეთ და ჯვარს აცვიოთ, რა-კი გოგია, ოტია, ივანე და ზებედე არ ვარგანანაო?

იცით ამას რა მისდევს? თუ შენ სდევნი სხვა ხალხს, მთელი ხალხის მტრობას აღვიძებ შენს გულში, — ამითი შენ სხვას, შენზე ძლიერს, აძლევ მიზეზს, რომ ის შენ უარესათ მოგექცეს. ეს ერთი. მეორეც, რა-კი ვიძახი: ის სომეხია, ის ლეკია, ის თათარია, ის ურია — ამითი ჰბადებ პროვინციისაშხალს. ამგვარმა ძახილმა

თუ იცით რას ამოაყოფინა თავიგესმით არა ხამუშ-ხამუშ მაინცა სამარცხვი-ნო, ჩვენი წამბილწავი და შემარცხველი ძახილი, რომელიც მატულობს დღით-დღე: ეს კახელია, ეს ქართლელი, ეს დუშელი, ეს იმერელი, ეს რაჭველი, ეს გურული, ეს მეგრელი და სხვა ამისთანა ჩვენი დამლუპველი პროვინციალური გარჩევის წამბილი?

გვაცნობა, რომ აფრიკაში გავზავნილი იტალიის ჯარი აბესინელებმა საშინლად დაამარცხესო. ვაზეთების სიტყვით, აბესინელთ სულ 30 ათასი ჯარი ჰყავთ ჯერ-ჯერობით გამოყვანილი იტალიელთა მოსაგერებლად, ხოლო უკანასკნელთა რიცხვი ჯერ 12 ათასამდე აღის. იტალიის მთავრობას ახლა ბრძანება გაუცია — დაუყოვნებლოვ გაიზავნოს აფრიკაში ახალი ჯარები. მთავრობას წარუდგინეს დეპუტატებმა რამდენიმე ინტერპელაცია იტალიის ბრძოლის შესახებ და ამ დღეებში პარლამენტს სჯა ექნება.

ბერმანია. დაიწყო სხდომები გერმანიის პარლამენტისა. ჯერ ფოსტით არ მოსულა დაწვრილებითი ანგარიში პირველ სხდომებისა, დეპუტებშიდამ-კი სჩანს, რომ პარლამენტს ცხარე კამათი აქვს, ნამეტურ სოცილისტთა დევნის შესახებ. დიდი სიტყვები უთქვამთ რიტერსა და ბებელს და გაუქცხავთ მთავრობა.

ინგლისი. ბოლოს დროს, ვაზეთების სიტყვით, ინგლისის საზოგადოება არ არის კმაყოფილი მინისტრ-პრეზიდენტის სოლსბერისა. ემდური-ან — მეტად გააკიანურა ოსმალეთთან დიპლომატიური შეტაკებაო, ველარ დაბოლოვა ენერგიულად დაწყებული საქმეო და სხვა. ზოგიერთი ვაზეთი ურჩევს სოლსბერის, ომი გამოვუტხადოთ ოსმალეთსა, თორემ მოხერხებული დრო დაგვეკარგებოთ. იგივე ვაზეთები ურჩევენ სოლსბერის — ეგვიპტეს საქმეც დავაბოლოვოთ და ეგვიპტე სამუდამოდ და სრულიად შევიერთოთო.

თეატრის შაბინამ.

სამშაბათს, 21 ნოემბერს, ახალ-სენაკის საზოგადო საკრებულო დარბაზში (კლუბში) ქართული სცენის მოყვარეთაგან ქ-ნის ნ. გაბუნია-ცაგარლისა და ბ-ნ ა. ცაგარლის თავისობით წარმოდგენა იქმნა გამართული წარმოდგინეს: „ჯერ და-იხოცენ, მერე დაქორწილდნენ“.

თუ იცით რას ამოაყოფინა თავიგესმით არა ხამუშ-ხამუშ მაინცა სამარცხვი-ნო, ჩვენი წამბილწავი და შემარცხველი ძახილი, რომელიც მატულობს დღით-დღე: ეს კახელია, ეს ქართლელი, ეს დუშელი, ეს იმერელი, ეს რაჭველი, ეს გურული, ეს მეგრელი და სხვა ამისთანა ჩვენი დამლუპველი პროვინციალური გარჩევის წამბილი?

აი, როდესაც ლოლიკა, სალი გონი სწორე გზას გადასცდებიან, სად მიდის საქმე. და ამ აქცეული გზის უმეცარს შეძახილს რავდენი ბოროტი და ვნება მოსდევს საქმისთვის, საბოლოოვსთვის.

შემოხიზნულნი გვიბატონდებიანო. დიხ, გვიბატონდებიან. მაგრამ სად? განა იმერეთში? — არა. ქართლსა და კახეთში. რატომ იმერეთში გვრელობა აიღო ხელთ ის იარაღი, რითაც ხალხი ქართლ-კახეთს შემოხიზნული ქართლ-კახელებს გვიბატონდებო. მოჰკიდა იმერელმა ხელი ვაჭრობას, მრეწველობას, და ამა გადაავლეთ თვალი, სადამდის ვაგიდა იმერელი კაცი და რა ძალა დაიჭირა ხელთ. არამც თუ საქართველოს ყველა კუთხეებში მოედო იმერლობა, მოედო თვით იმ

ვოდ. 2 ნოემბერს გამოვიდა თეატრის-ერისთავისაგან. 2) „დედამწიგნობა“ ეპიზოდური დავით აღმაშენებლის-დროს ილამ თ. ილ. ქავეკავადისა. მონაწილეობას ლებულოზდნენ ბ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა და ფ. კალანდარიშვილისა; ბ-ნნი: ა. ცაგარელი, ველი — ვა, ნ. გაბუნია და ტ. კალანდარიშვილი. პირველმა და მეორე მოქმედებამ მშვენიერად ჩაიარა. მათამაშეებმა თავიანთი როლები კარგად შესრულეს. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად კარგი იყვნენ თავ-თავიანთ როლებში ბ-ნი გაბუნია-ცაგარლისა და ბ-ნი ა. ცაგარელი. მომეტებულად-კი პირველი „დედის“ როლში იმ დროს, როცა დედა ეთხოვება შვილს და დიდის სულის კვეთებით ისტუმრებს სამშობლოს დასაცველად. ეს სცენა ისე ხელოვნურად და სინამდვილით იქმნა დახატული, რომ დიდი გავლენა და შთაბეჭდილება იქონია მაყურებლებზე და ბევრს ქალს თუ კაცს ცრემლები აფრქვევინა. სხვა მათამაშეებსაც არაფერი უჭირდათ, როგორც ახალს მათამაშეებსა. შემდეგში, რასაკვირველია, ჩვენი ახალი მსახიობები კარგად ეცდებიან, თუ უნდათ საზოგადოების ნდობა და სიყვარული მოიპოვონ.

წარმოდგენის შემდეგ ბ-ნმა მ. ზ. დიდებულებმა ქიანური დაუკრა და გაბუნია-ცაგარლისამ დაამღერა „სამშობლო ხვესურისა“ და სხ.

დასასრულ გამიძრა ლეკური, რომელმაც გასტანა ნაშუალაშევის ორს საათამდე. აგრეთვე უკრავდა მუსიკა, რომელიც მოწვეული იყო სამტრედილიდამ. წარმოდგენას ბლომად დაესწრო საზოგადოება და ყველანი დიდად ნასიამოვნენი და კმაყოფილნი დარჩნენ. ახლა ჩვენს ახალ-სენაკში „კლუბიც“ არის, სადაც შეიძლება წარმოდგენების გამართვა მალ-მალე, მით უფრო, რომ წარმოდგენისათვის ცალკე არის დიდი დარბაზი სცენისათვის მოწყობილი.

როგორც ნამდვილად შევიტყეთ, მათამაშეების სურვილისამებრ ამ

ადგილებსაც, სადაც ძველის ძველი ბუნავია ამ ჩვენი შემოხიზნული ხალხისა და, სადაც-კი შეხვდებით, გაგოცვებთ მხნეობა, შებედულობა საქმისა, ცოდნა და გამოცდილება იმერთა. ჰნახეთ ამ თვისი გაბედვით, თვისი მეცადინეობით, საქმისა ხელის მოკიდებით სადამდის მოახწია იმერელმა, ესე იგი იმერთა ხალხმა: მეგრელმა, გურულმა, რაჭველმა, იმერელმა და ყველა ლიხს იქითმა ხალხმა? გარდა იმისა, რომ შედარებით თავისი რაოდენობისა დაიჭირა დიდი რაიონი სარჩოს საშოვნელად, — იმან მთლად გამოისყიდა თავისი მებატონისაგან მთელი თავისი ნადელები ხაზინის დაუხმარებლოვ; ჰყიდულობს ძვირფასად მამულებს და არ უშვებს უცხო ტომის ხელში არაფერს. ეს კიდევ ცოტაა. თუმცა ათასი შევიწროება მიაცენეს, ათასი დაბრკოლება დაუყენეს წინ, მაგრამ მაინც თავისი გაიტანეს და დაიჭირეს თითქმის მთელი ის მხარე, რომელიც ასრე გამოუტყდელათ და დაუფიქრებლად დასტოვეს აფხაზებმა.

აი რავგარი უნდო იყვეს ჩვენი ბრძოლა ყველასთან, განა ქართლ-კახეთმა მიჰმართა ამ ღონეს? ჩვენ მივჩერებდით ჩვენს დანეტრეულს



წარმოდგენილად შემოსავალი, ხარჯს ვარა, საქველ-მოქმედოთა დანიშნული, ე. ი. რამდენიმე ნაწილი ამ შემოსავლიდან ჩვენის საყვარელის მგოსანის თ. რ. ერ—ვის ფონდის სასარგებლოდ იქმნება გადადებული.

ათანასიძე,
22 ნოემბერს, 1895 წ.
ახალ-სენაი.

შემოწმება.

რედაქციამ მიიღო სამოცი მან. და 70 კ. შვებულება. იოსებ გველესიანისგან წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. აი სია შემოწმებული:

- ს. წაბრიანი 2 მ., მ. კიტ—5 მ., თავ. იოსებ ნიჟარაძე 3 მ., ფარაბეი 3 მ., შლესი 3 მ., მ. პრუფანსკი 3 მ., კარნოვსკი 3 მ., იოსებ გველესიანი 2 მ., გ. ივანოვი 1 მ., დ. ამირაჯიბი 1 მ., გ. მახვილაშვილი 1 მ., ა. მარტირუხოვი 1 მ., მ. მარტირუხოვი 1 მ., მ. მ. მ. გ. მელიქიანობაძე 1 მ., ნ. ახვლედიანი 1 მ., ი. ბეჟანიშვილი 1 მ., პ. იალაღოვი 1 მ., ს. ბუკია 1 მ., ერასტო ჰუბანიძე 1 მ., სამსონ წერეთელი 1 მ., ბიჭტორ გველესიანი 1 მ., ი. ბაღინაძე 1 მ., ი. სამბეგოვი 1 მ., ლ. ადამია 1 მ., ს. ჩხილაძე 1 მ., ბოძიაშვილი 1 მ., პურ-ღვინო 1 მ., გ. ბაქრაძე 1 მ., ექიმი ჩიქოვანი 1 მ., გ. სხირტლაძე

ძველს გუთანს, ჩავტყერით მარტო შავს მიწას მამა-პაპური ცოდნით და იარაღით, სხვა ყველა, ქალაქები, ვაჭრობა, მრეწველობა და ამგვარი მოგების და გონის წარმატების მომცემი საქმენი მივიწივით სხვებისათვის. და ამ ცარიელს მიწაში ჩაქტერით არამც თუ არა შევიგნეთ-რა, თვით ნაღვლებიც ვერ დავვიხსნია, და თუ ერთი ასიოდე კომლია გამოისყიდა, ისიც საკუთარი ფულით-კი არა, როგორც მოხდა ეს იმერეთში, ხაზინის ფულით, ხაზინის დახმარებით.

დღევანდელი დღე იმისია, ვინც ინდუსტრიას გასდევს. ბოლო არის იმისი, ვინც მეტს სარჩოს, კაპიტალს შეიძენს, ვინც მეტს სწავლა-განათლებას მიიღებს. ამ ბრძოლაში ქართლ-კახეთზე მეტი ძალა შემოხიზნულთ იჩინეს. განა ჩვენ რომ მეტი გამოცდილება და სინჯავე გვეჩინა სარჩოს შოვნაში, ჩვენ დავდგებოდით ერთს რომელსამე ზომასზე და ვეტყოდით შემოხიზნულთა: ეს გვეყოფა ჩვენა, და ახლა თქვენ მიირთვითო?! — არა მგონი! პირ-იქით, დღევანდელს ბრძოლას ცხოვრებისათვის ისრეთი ვეშაბის პირი აქვს, რომ, რაც მეტს ჩასჩრი ხახაში, უფრო მეტს მოითხოვს.

განა ამისთვის ვიზრუნეთ რამე ჩვენა?! პირ-იქით, განა ჩვენვე არ მოვაუძღურეთ ჩვენი თავი ამგვარი ბრძოლისთვის იმგვარი ჩვენი საქმეებით, რომელნიც ზემოდ აღწერეთ?! ახლა მოვდგომივართ და მუშტზე ვიფურთხებით.

მუშტზე ფურთხება, ხანჯალზე ყურება არის უძღური კაცის სახსარი, კიდევ უარესს მოგახსენებთ:

არის სახსარი იმედ დაკარგულისა, სასო წართმეულსა, მშინარასი. კაცი, რომელსაც გონი, ჯანი, გული, ცოდნა შესწევს, იქ, სადაც ებრძვიან გონით, ცოდნით, გამოცდილებით, — იქ ეს ჰხმარობს იმავე სახსარს: გონს, ცოდნას, გამოცდილებას. ამგვარი მუქარა, მუშტზე ფურთხება და ყვინჩილობა ამტკიცებს

- 1 მ., ა. რაბინოვიჩი 1 მ., კალელოვი 1 მ., კოსტა გუნაძე 1 მ., უ. ვაბუჩია 1 მ., ილია მამულაშვილი 1 მ., ი. ბელიანიძე 1 მ., ყაფლანსკი 1 მ., გ. არეშოვი 1 მ., ნ. რატანი 1 მ., ბ. ნათიკოვი 1 მ., წ. შოშივი 1 მ., ელ. კვიციანი 1 მ., თ. ცაგერეიშვილი 05 კ., ნ. ნაცვალაძე 20 კ. სულ 60 მან. 70 კაპ. იოსებ გველესიანი.

სამართავლოს თავადნი.

თავადნი ბაგრატიონნი, თავად ბაგრატიონთა გვარეულობა, როგორც რუსეთის იმპერიას უმადლესად დაშტეი-ცებულს თავად-აზნაურთა საგვარეულო გერბის წიგნის VII ნაწილშია მისსენებულად, მომდინარეობს ისრეთა მეფის დაკითხვას. შთამომავალი მისი ბაგრატი, 575 წელს ქრისტეს შემდეგ, ფილანტიადამ საქართველოში გადმოსულა; აქ მას ცალად შეუერთეს საქართველოს მეფის და და შეეფადნა მოუწყვებათ. შთამომავალთ უმეფანთ ქართლსა, იმერეთსა და კახეთში. საქართველოს მეფის მე აღქსანდრე იესეს მე გადასულა რუსეთს და აქ შობდომლ-კოვნიკად უოფიდა. აღქსანდრეს შვილი იესე და კარაილე თავად ბაგრატიონ-

ჩვენს სრულს უტაქტობას, პოლიტიკურს მოუშაღებლობას. განა ისრეთი ძლიერი და კაცობრივი ერთი ვართ, რომ არავისი თავი არ გვიქირდეს? ჩვენზედ ერთი ათასათ ძლიერნი ეძებენ მომხრეებს, მოკავშირეთა, რადგან დღევანდელი ბრძოლა ცხოვრებისათვის ისეთი საზარელი და ძლიერია, რომ, რაც უნდა მეტი ძალა გვიქიროს, არ მოგვარდებოდა. მაშ ჩვენ უფრო არ გვიქირს ჩვენი მეზობლისა და თუნდა უცხოთა ვიქ ჩვენ რომ ასრე ვიძახოთ: სომეხი და ურია ვაჭრობაში გვეჯობნის, ოსი იზარავს, ლეკი იტაცებს, თათარი სძარცვავს, ნემეცი მამულების მოვლაში გვეჯობნის და მუშტი მავათაო როგორა გგონიათ, თუნდა კიდევ რომ გასკრას ჩვენმა მუშტმა, მარტო არ დავჩრებით უმეზობლოთ, უმეგობროთ, უძღურნი, ყველასაგან მომადებულნი, ყველასაგან დევნილნი? პოლიტიკური ტაქტი, სოციალური აღზრდა რომ გვექონდეს, ჩვენ დავდგებოდით იმ აზრზე, რომ ყველა ამ ხალხებთან გემართებს მოკლე კავშირი, მეგობრობა, რომ ჩვენს ძალას მოემატოს.

მოვიდეთ გონს, შეუდგეთ ბრძოლას ცხოვრებისათვის ცოდნით, გამოცდილებით, ჩავიგდოთ ხელთ ვაჭრობა, მეზავლობა, მეჭაბრიკობა, მრეწველობა; შევისწავლოთ მამულების მოვლა; დავიქიროთ ხელთ ქალაქები, ბაზარი, სავაჭრო ადგილები, — და გარწმუნებთ ვეღარც არავინ საწყაოს აგვივსებს, აღარც არავის ჩვენს შემოხიზნულებთან მუშტის კრივი დავგვირდებოდა. მთელი ქვეყნის სიმდიდრე სდევს ჩვენს ქვეყანაში, ამისი მოვლა-პატრონობა ჩვენ, ამ პატარა ხალხს, მოგვეცემს იმდენს, რომ აღარავისი აღარც ხელთ შემეპტეარაღნი ვიქნებით, აღარც ვისიმე შური გვექნება, აღარც არავისი შიში.

აი, დღეს ვკითხვობთ თელაველთა ქალთა სამოქმედო პროგრამას, სადაც, როგორცა სჩანს ბ-ნო ი, თქვენცა გაქვთ მონაწილეობა. ეს დაწყობილება გვაჩვენებს, რომ ჩვენი ქალებიც იღვიძებენ, ახელენ თავს,

ნებად იქმნენ წოდებულნი. თავად ბაგრატიონთა გვარეულობა, 6 ოქტომბერს 1803 წელს, რუსეთის თავადთა გვარეულობის წიგნში იქმნა შეტანილი და შეტანილ უმადლესად დაშტეი-ცებულს სერთა გერბის წიგნის მე VII ნაწილში.

უმართაველსის სენატის დადგენილებით 21 დეკემბერს 1833 წ. და 18 იანვარს 1842 წ. თავად იქმნენ ცნობილნი და V გვარეულობათა წიგნში შეტანილნი თავადნი ბაგრატიონნი: 1) კამერგერის აღქსი კირაიეს მე-კოსტანტანე და 2) V კლასის კამერ-იუნკერი აღქსანდრე კირაიეს მე და შვილი მისნი: ბეტრე, ვალკიან, ბარბაქე და სოფია.

დეკემბა

(რუსეთის დეკემბრთა სააგენტოსაგან).
2 დეკემბერი.

ბათუმი. 1-ლს დეკემბერს, დამის 11 საათზე, შემკვიდრე ცესარევიჩი ბათუმში მობრძანდა. მისი უმაღლესობა აბასთუმნიდამ ზექარაზე ჩამოვიდა ქუთაისში და აქედამ საგანგ-

მ ვ ბ ვ ა ს ე ვ ლ ი ბ ნ ა ს შეუწყვეტილად ძახილს ანებებენ თავს, სცვლიან საქმეზე. ყოველი ქართველი უნდა მიეგებოს აღტაცებით, ხელმეგანაპრობილი ამგვართა დაწყობილებათა, მეტადრე ქალთაგან. ყველამ უნდა იქონიოს მაგალითად ეს დაწყობილება.

შესდგა ამხანაგობა კახელთა მეგობრებთა და დაიქირა ვაჭრობაში კარგი ადგილი.

ვიწყობთ ყველაგან შერდგენა საზოგადოებაზეისა, ამხანაგობისა ვაჭრობისა და მრეწველობის ხელში ჩასაგდებად, და გარწმუნებთ ჩვენს ბუნებით უხვს და მდიდარს ქვეყანაში, ჩვენს ნიჭიერს ხალხში არ დავგვირდებოდა ჩვენს მეზობელთან, ჩვენს ძველის-ძველს მეგობარსა და ჩვენი ქვეყნისთვის სისხლისა და ოფლის დამღვრელთან არც მუშტი, არც მახვილი. გეურქას ცოდო მოვახვიოთ გეურქას, ტეტრას ცოდო—ტეტრას, და ცალკე პირთა შეცოდებას ნუ დავადებთ ბრალად მთელს ერს, მთელს ნაციას, და გარწმუნებთ ჩვენ ვიქნებით ისევ კარგი მეზობელნი, ისევ კარგი მოყვარენი, ისევ კარგი ძმანი, ქირსა და ლხინში ერთმანეთის მოსახმარნი. და მათი სიძულვილის ჩენა, მეტადრე ესლა, გარდა ჩვენივე ზარალისა, იქნება შელახვა ჩვენივე საქმისა.

და როდესაც ჩვენც შევიძინეთ ქონებას, აღვადგენთ ჩვენს მამულებს, შევიძინებთ შეძლებას, დავიქიროთ ხელთ ჩვენს ქალაქებს, ბაზრებს, ვაჭრობას, გავხდებით კაპიტალის პატრონები, — თვით ის პირნი, რომელთაც ყვინჩილობა ჩვენ ასრე ვაბრაზებს, დავიწყებენ პატივითა და დიდებით ყურებებს.

მანამა-კი ჩვენს უბედურს ბედს, ჩვენს უკანასკნელებას ნურავის დავაბრალებთ, ჩვენი თავისა, ჩვენთა მოთავეთა, ჩვენთა დაწინაურებულთა წოდებთა და პირთა გარდა.

ანტონ ფურცელაძე.

ბო მატარებლით ბათუმს. მატარებლიდან შემკვიდრე ცესარევიჩი გემზე „პეტერბურგზე“ გადაჯდა, სადაც გაათია ღამე. 2 დეკემბერს, დილის 7 საათზე, გემმა „პეტერბურგმა“ მისის უმიღლესობითურთ გასცურა საზღვარ გარეთ სამოგზაუროდ.

კოსტანტინოპოლი. ინგლისისა და იტალიის მეორე სტაციონერები გუშინ საღამოთი მოვიდნენ; საფრანგეთისა და ავსტრიის სტაციონერები დღეს მოვიდნენ. ხომალდების მოსვლას არავითარი უწყობა არ გამოუწყვეია. მთავრობათ სამხედრო დარაჯნი გაგზავნეს.

სამის დღის წინად კოსტანტინოპოლში ყველა დიდად შეაშინა ორ სომეხს შუა მოხმადარმა ჩხუბმა. ხალხის დასამშვიდებლად პოლიციამ ხმა გაავრცელა, ვითომ ღომი გამოქცეოდეთ მხეცების საჩვენებელ სახლიდან და ამის გამო შეშინებულიყოს ხალხი. ღომი ქანდაკებმა მოკლესო.

3 დეკემბერი.

პეტერბურგი. ხოლოერთა და ხოლოერთის მზგავს სენით ავადმყოფთა შესახებ: პეტერბურგში 25 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე ავად გახდა 78, მოკვდა 46; ვოლინის გუბერნიაში— ავად გახდა 183, მოკვდა 90; კიევის საში 12-დამ 18 ნოემბრამდე ავად გახდა 73, მოკვდა 27 და 19-დამ 25 ნოემბრამდე ავად გახდა 45, მოკვდა 24; ორლოვისაში 19-დამ 25 ნოემბრამდე ავად გახდა 1; პეტერბურგისაში 5-დამ 25 ნოემბრამდე ავად გახდა 21, მოკვდა 2.

მოსკოვი. გაიხსნა სრულიად რუსეთის სამეურნეო გამოფენა, რომელსაც დაესწრნენ უზვესტოესი გენერალ-გუბერნატორი, მეუღლე მისი და დიდი ჰერცოგინა ჰესენისა. ექსპონენტები სულ 580 არიან.

ვლადიმოსტოკი. („ნოვ. ვრემია“). პარტიათა ბრძოლა სეულში ჯერ არ შემწყვდარა. კორეს მღვამარეობა შერყეულია. მოსალოდნელია საქმემ უფრო რთული ხასიათი მიიღოს. შემკვიდრე პრინცი სეულში დაბრუნდა. პრინცი ევროპაში წასვლა შეცვლილ იქნა. ახალი რუსის წარმომადგენელი შხეიერი ჩამოვიდა. კორეს დეპეშები იაპონელების ხელშია; იაპონელები ან აპრკოლებენ, ანდა განზრახ ასხვაფერებენ ყველა ამბებს.

როში. როგორც ვახ. „იტალი. მილიტ.“-ი ამტკიცებს, გარდა იმ 5 ბატალიონისა და 2 სამთო ბატარეისა, რომლებიც აფრიკაში გასაგზავნად არიან დანიშნულნი, აფრიკაშივე გაიგზავნება 4 სხვა ბატალიონი და 2-იც მინდვრად მებრძოლი ბატარეა. გამოცხადებულ იქნა ბრძანება მოიწვიონ სამხაურისათვის ის ჯარისკაცი, რომელნიც 1873 წელს სათავდარიგო ჯარის-კაცებად იქმნენ დათხოვილნი.

კოსტანტინოპოლი. გამოცხადდა სულთანის ახალი ბრძანება სასტიკად სდევნონ და დასაჯონ ყველანი, ვისაც-კი ძარცვაში, შინაურ პირუტყვთა ქურდობაში, მკვლელო-

ბასა, ცეცხლის გაჩენასა და სხვა ბოროტ-მოქმედებაში დაიჭრენ. ახარებს ბრძანება მიეცათ მოჰსპონ ყოველგვარი უწყობა იარაღით. იარაღის ტარების აღკრძალვა სამხედრო ხომალდების გამგებლობის ქვეშ იმყოფება.

გმლზრადი. როგორც პრიზრენიდან მოსული ხმა ამტკიცებს, იქაური არნაუტები აჯანყებულან. მთავრობის ადგილობრივი მოხელენი არავითარსაშუალებას არ ხმარობენ აჯანყებულთა წინააღმდეგ; ეს გარემოება ძლიერ აშფოთებს ადგილობრივ მცხოვრებ ქრისტიანეთ, მით უფრო, რომ ქრისტიანეთა მდევნელი მულაკევი, რომელსაც საცხოვრებლად კოსტანტინოპოლი ჰქონდა მიჩენილი, ამ ეამად თავისუფლად თურმე დაიარება.

ლონდონი. ჰერცოგინა იორკისა ორსულობისგან განთავისუფლდა. ბენგალის პროვინციაში მდიდარი ოქროს მადანი აღმოჩნდა. ინდოეთის მთავრობა უკვე შეუდგა მისს შემუშავებას.

4 დეკემბერი.

პეტერბურგი. გუშინ ლასკერმა და პილსბერმ მოუფეს სტენიციხა და ჩიგორინს.

მარშაპა. სინოდის ობერ-პროკურორის კანცელარიის დირექტორი სილორსკი გარდაიცვალა ლიუბლინის გუბერნიაში.

პარმი. ნება დართულ იქნა მდინარე სოსვიდამ ბლაგოდატის შთამდე ახალი რკინის გზა გაიყვანონ. ეს გზა ურალის რკინის გზას უდიდესს ქარხნებს შეუერთებს და ამ რიგად შესაძლებელი იქნება ციმბირის საქონელი პერმსა და კოტლასზე წამოვიდეს პეტერბურგს.

ბაქო. ბაქოს ნავთის-მწარმოებელთ უკვე დაიწყეს ნავთის გასაყვან მიღების გაწყობა მოლითსა და ბელაგორს შუა, მუშაობა თხუთმეტ დღეზე დასრულდება.

ლონდონი. იტალიის დიპლომატამ თხოვნი თ მიჰმართა ინგლისის მთიერობას, უბრძანოს სუაკიმში მყოფს ინგლის-ეგიპტის ჰარნიზონს დაეხმარნენ იტალიელთ, თუ რომ საქმე გაუჭირდებოთ მასსოვანში. ინგლისის პოლიტიკოსთ პორტას შიში აქვთ, რომელსაც უთუოდ საფრანგეთიც მხარს დაუჭერს.

განცხადებანი

ახალი გამოცემანი:
საქმეარელო
ქართულ და ევროპიულ საქმელებისა
მეორე გამოცემა
ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარეგება სხვა-და-სხვა საქმელოების მოსამზადებლად და სანოვანის შესახახად.
ფასი მანეთ ნახევარი.